ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31203151**
თარიღი: **10/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარის 2020 წლის 1 იანვრიდან

დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შედგება 8 წევრისაგან.

კომისიის თავმჯდომარე-ალექსანდრე მახათაძე

კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ციცინო ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე , ზურაბ კუკულავა და დავით ჩხარტიშვილი.

წარმოგიდგენთ, ლანხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომისიას ჩატარებული აქვს 5 სხდომა. სხდომებზე მოხდა, როგოც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხების განხილვა. დამტკიცებულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა. კომისიამ როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

· კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალურ საკითხებს, ამ კუთხით არაერთი წინადადება და რეკომენდაცია შეუმუშავებია ბიუჯეტში ცვლილებების კუთხით, ასევე აქტიურად მონაწილეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შემუშავების პროცესში,იმისთვის რომ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა აღნიშნული დოკუმენტი.

· კომისია გამჭვირვალობისა და ეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე აქტიურად მონაწილეობდა, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე საკრებულოს მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტის განხილვაში, რომელიც ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის, ბიუჯეტის

შესრულების კანონიერების მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით უდიტის მოწვევას.

- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ძირითადი საქმინობა ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც უმეტესად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ასევე ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. კომისიამ ასევე შეისწავლა ბიუჯეტში თანხების შიდა მონაცვლეობის აუცილებლობის მიზანშეწონილობა.

კომისია ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე და ასევე მოქალაქეების ინფორმირებასა და აქტიურ ჩართულობაზე, რათა მუნიციპალიტეტის ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელიც არის ბიუჯეტი ასახოს მოქალაქეების აუცილებელი მოთხოვნილებები.

კომისია გეგმავს აღმსრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის კუთხით მათი სამსახურებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენას, მათი მხრიდან მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე